დასავლეთ ბალკანეთი ევროპისა და რუსეთის გასაყარზე

თორნიკე ცირამუა

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური მეცნიერებების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

საერთაშორისო ურთიერთობები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით დარჩიაშვილი,პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2017

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თორნიკე ცირამუა, 26.06.2017

მადლობა

ვსარგებლოდ რა შემთხვევით, მსურს მადლობა გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელს, ბ-ნ დავით დარჩიაშვილს, რომელიც სამაგისტრო ნაშრომის შესრულების პროცესში მუდამ ხელმისაწვდომი იყო. იგი არ იშურებდა, მეტად სასარგებლო რჩევებს, რეკომენდაციებსა და კომენტარებს, რაც წინამდებარე ნაშრომის წარმატებით დასრულების წინაპირობა გახდა. ასევე, მსურს მადლიერება გამოვხატო ჩემი რესპოდენტების მიმართ, ბატონების ჯაბა დევდარიანის, მისი აღმატებულების ვეშკო გარჩევისა და როლანდ ფრეუდენშტაინის მიმართ, რომელთა ინტერვიუებმაც გაამდიდრა ჩემი ნაშრომი.

Aknowledgement

I would like to use this opportunity and to extend my gratitude to my supervisor, Mr. David Darchiashvili, for his availability in the master thesis writing prosess. He provided, very remarkable advices, recommendations and commentars, which was a precondition for successful completion of my paper. I alsowould like to express my gratitutude to my respodents, Mr. Jaba Devdariani, H.E. Vesko Garcevic and Mr. Roland Freudenstain for their perfecting interviews.

აბსტრაქტი

ბალკანეთის ნახევარკუნძული საერთაშორისო არენაზე ისტორიულად მუდამ სადავო საკითხი იყო. რეგიონი ყოველთვის იყო იმპერიათა, ცივილიზაციათა, კულტურათა რელიგიათა გზაგასაყარზე. უნდა ითქვას, რომ რეგიონი ორ ნაწილად იყოფა. დასავლეთ ბალკანეთი და აღმოსავლეთ ბალკანეთი. დასავლეთ ბალკანეთში შედიან ყოფილი იუგოსლავიის სახელმწიფოები (ხორვატია, სერბეთი, სლოვენია, მაკედონიის რესპუბლიკა, ბოსნია-ჰერცეგოვინა, მონტენეგრო, კოსოვო, ასევე ალბანეთი), ხოლო აღმოსავლეთ ბალკანეთში კი ბულგარეთი, საბერძნეთი და რუმინეთი. რეგიონიდან, ევროკავშირის მოქმედი წევრები უკვე არიან, სლოვენია (2004 წ-დან) და ხორვატია (2013 წ-დან). ნაშრომი ეთმობა დასავლეთ ბალკანეთის იმ ქვეყნებს (სერბეთი, მაკედონიის რესპუბლიკა, ბოსნია-ჰერცეგოვინა, მონტენეგრო და კოსოვო), რომლებიც ევროპისა და ევროატლანტიკური სტრუქტურების ნაწილი ჯერ არ არიან და მათი გამოცდილებისა და არსებული პოლიტიკური ვითარების ანალიზი საინტერესო იქნებოდა.

დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებმა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ დასავლურ ღირებულებებთან დაახლოების თვალსაზრისით ხელშესახები პროგრესი განიცადეს.მაგრამ, რეგიონში არსებული პოლიტიკური კრიზისი, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის ნაკლებობა დიდ გამოწვევას წარმოადგენს. ევროკავშირში არსებული მიგრაციული კრიზისის, ევროსკეპტიკური რიტორიკის ზრდის, ნაციონალისტური ძალების გაძლიერებისა და დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლის გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, რეგიონში მნიშვნელოვნად შეირყა ევროპული იდეის რეპუტაცია. ამავე დროს რუსეთის ფედერაციამ ყირიმის ანექსიის შემდეგ საგრძნობლად გააძლიერა საკუთარი გავლენა, რომელსაც რბილი ძალის პოლიტიკითა და „ჰიბრიდული ომით“ ახორციელებს. უფრო კონკრეტულად თუ ვიტყვით, 2016 წლის შემოდგომაზე, მონტენეგროს საპარლამენტო არჩევნების დროს პრემიერ-მინისტრის მილო ჯუკანოვიჩის წინააღმდეგ წარმოებული კამპანია მოწმობს.

წინამდებარე ნაშრომის საკვლევ კითხვას წარმოადგენს თუ როგორ ახორციელებენ დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნები ევროპასთან ინტეგრაციას, რა გზას გადიან ევროპულ სივრცეში გაწევრიანებისთვის და რა პრობლემები და გამოწვევები არსებობს ინტეგრაციის პროცესში. გარდა ამისა, რუსეთის „ინტერვენციული“ პოლიტიკა როგორ ახდენს გავლენას რეგიონში ვითარების ესკალაციასა და ევროპასთან ინტეგრაციის შენელების პროცესზე.

ჰიპოთეზის სახით აღსანიშნავია, რომ იუგოსლავიის დაშლის შემდეგ, დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნები ევროპულ სივრცეში ინტეგრაციის გზას დაადგნენ, თუმცა ამ პროცესში გამოიკვეთა არაერთი პრობლემა, რომელიც როგორც საშინაო-რეგიონალური პოლიტიკიდან, ასევე გარე ფაქტორებიდან მომდინარეობს. ნაშრომის საკვლევ მეთოდოლოგიას წარმოადგენს თვისობრივი და რაოდენობრივი ანალიზის მეთოდი. თვისებრივი მეთოდისთვის გამოყენებულია სხვადასხვა ტიპის საკვლევი და ანალიტიკური პუბლიკაციები თუ სტატიები, სადაც სიღრმისეული განხილვა აქვს დათმობილი დასავლეთ ბალკანეთის რეგიონის ევროპასთან და რუსეთთან ურთიერთობებს, ხოლო რაც შეეხება რაოდენობრივ მეთოდს, სურათის კიდევ უფრო ნათელი აღქმისთვის გამოყენებული იქნება სხვადასხვა საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციათა ცხრილები, გრაფიკები და რაოდენობრივი შედარებები. გარდა ამისა გამოყენებული იქნება სიღრმისეული ინტერვიუ.

ძირითადი საძიებო სიტყვები: დასავლეთ ბალკანეთი, სერბეთი, მაკედონია, მონტენეგრო, კოსოვო, ბოსნია-ჰერცეგოვინა, ევროკავშირი, რუსეთი

Abstract

Historically, Balkan Peninsula on international arena always was dispute issue. Region was at the crossroad of imperies, civilizations, cultures and religions. Region is devided in two parts: Western Balkans and Eastern Balkans. In western Balkans are former Yugoslavic states (Croatia, Serbia, Slovenia, FYROM Macedonia, Bosnia-Herzegovina, Montenegro, Kosovo and Albania), whereas in eastern Balkan, Bulgaria, Greece and Romania. Slovenia (2004) and Croatia (2013) are members of European Union. The present paper is about western Balkan countries (Serbia, Republic of Macedonia, Bosnia-Herzegovina, Montenegro and Kosovo), which are not yet members of European and Euroatlantic structures and theire experience and existing political analyzing would be interesting.

Western Balkan countries after getting independence, made a tangible progress with western values, but, political crisis, lack of democracy and rule of law are major challenges decreased their dynamic path to EU. Migration crisis, rise of Eurosceptic ritoric, nationalism and Great Britain's decision on exit from European Union, remarkably decreased EU's reputation. One of the biggest challenge is Russia's influence, which has been rised after annexation of Crimea, which use's "soft power" and "hybrid warfare" tools.

The aim of paper is, to explore western Balkans EU path. Also, to determine two theoretical approach – Constructivism and Liberal-intergovernmentalism. Research questions are what are the main challenges of western Balkan countries and how region is unite in the European idea. Also, how Russia's influence affects on regional policy and its integration to EU.Hyphotesis is that, after the collapse of Yugoslavia, Western Balkan countries chose the European path, but during this process, they face the range of challenges and problems, which comes from a regional and external politics. Research methodology consists, qualitative and quantity method. For qualitative method are used analytical articles and publications, where deeply are discussed present issues. For better perception, will be used different graphics, tables and quantitive comparatives from different International and non-governmental organizations. Also, some interviews

Keywords: Western Balkans, Serbia, FYR- Macedonia, Montenegro, Kosovo, Bosnia-Herzegovina, European Union, Russian Federation.